სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 ივლისი 2024

N 342/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, შპს „ბათუმის წყლის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში, შპს „ბათუმის წყლის“ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა N39;
2. შპს „ბათუმის წყალი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N39 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბათუმის წყალს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის წყლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/342-21-4-202407041040

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE